

ივლისი 1933 წ. № 13 - ფანსი 40



საპირველსაპრილო სუმრობა
ნახ. ნადარეიშვილის.

„კრიზისმა აიძულა ინგლისის მთავრობა პირველ აპრილს დადებულ ემბარგო საბჭოთა კავშირის საქონელზე პირველ ივლისს აეხსნა“.

ინგლისელი: ბ.ნო კომისა რო, განა თქვენ გგონიათ, რომ ჩვენ მართლა სერიოზულად დავადეთ ემბარგო თქვენს საქონელს პირველ აპრილს? არა, ბ.ნო კომისარო. ეს იყო მხოლოდ საპირველსაპრილო მეგობრული სუმრობა... (თავისთავისთვის): — ეჰ, რაც იყო ამანაც კარგად იცის და მეც. მართლაც საპირველსაპრილო თვითმონატუილება გამოგვივიდა.. რას გვერჩიან, რომ ყველა ჩვენ დაგვიცინის — ბრძევები არიანო! სამი თვის განმავლობაში ვისწავლეთ კეჭუა; განა ბრძევი ამას შეძლებდა?!

პირველ ივლისს ბრიტანეთის მთავრობა იძულებული გახდა საჭეველოდ განეცხადებინა, რომ მისი ცდა, — მოენდინა ზეგავლენა საბჭოთა კავშირზე ა. წ. აპრილში საბჭოთა კავშირის საქონელზე ემბარგოს შემოღების გზით, — დამარცხებით დამთავრდა.

(გაზეთებიდან).

უნდა რამე ელონათ: გამოეგონათ, — თავი იტეხეს და ბოლოს... ასე ეგონათ: „ბოლშევიზმი რომ მოვსპოთ ხელათ, — ვაქციოთ მტვერათ, — საბჭოთა ქვეყანა შევღებოთ შავ ფერად, — უნდა მივმართოთ ზომებს რეალურს, აშკარას, ოფიციალურს, ხშირად კი — მალულს... „მეტრო-ვიკრის“ ანგარიში თუ არ გამართლდა და ჩვენს შავ ზრახვებს აეხადა ფარდა, — მაგნიტობისთვის მსჯავრი დასდეს ტორტონ, მაკლონადს (როგორ მოვითმენთ მათგან ასეთ შეურაცყოფას!) აშკარა არის საქმე ითხოვს ჩვენგან შეტევას, — წინ ვინ აღუდგეს დიდ ბრიტანეთს და იმის ნებას!.. —:— ომი გაჩაღდა... თვალი უარესს რას ნახავდა... ბრიტანეთს კრიზისი ვარაუდა... ომი ეკონომიური, ემბარგოთ წოდებული, — ასე გათავდა:

„საბჭოთა კავშირიდან საქონლის შეტანის აკრძალვამ არა თუ არ გააუძეოდა, როგორც ეს ეგონათ ინგლისის წრეებს, არამედ გააუარესა კიდევ ინგლისის ვაჭრობის და ინგლისის მრეწველობის მდგომარეობა.

(გაზეთებიდან).



ქუშბარა.

აქა ზეიმი ხელკანთა სასახლე

საღამოს განხდა ზეიმი, შეკრბენ სასახლედ სტუმარნი მართ მჭევრად მოუბარები, არ თუ კუმბნი და მდუმარნი, კალმის და სიტყვის რაინდნი, ძველთა მუწათა მჭუნარნი, მოლოქს-პოეტო, მორომან-მოსატრი კოს-მხუმარნი. ნიანგ დაჯდების სავარძლად, გარს უსდებნიან რჩეულნი იუბილარის სახობოდ და სამოდ ამორჩეულნი გულმძკა ერჩის ყოველთა, ენა უძს სარგეულნი: სცანიომცა სილვა თოდრია, მის გვერდით სანდრო ეული, იქ ზმუკი, კვლავ ფარსადანი, ალარ და სხვანი სვეულნი, ყველა რანგის და ბანაის ვაჭრი მგოსნებად რჩეულნი: ზოგთა რომ ბანის სათქმელად ყელი აქვთ წამოწყულნი, ზოგთა ცა ლბების სახელგამს უბეჭ დაე ტომთა რეეულნი. მოგროვდეს და მათსა ჭვრეტას ჰკვირდეს მთელი ქალაქი, პირველ სიტყვით ბაგის გახლეს დღეს ძვირფასი მალაქია, იტყვის: „სად ჩვენ ნარსა ვაროდით, ხამს დაფეთსოთ ხელ აქ ია, გული ნიანგმან გადგეყარნა კმუნვის სევა და ლაქია“. მიულოცდის, ჩაჭკოცნიდის, უსურვებდის დღეგრძელობას და შეპბირდის სხვათ მჭერალთაც ნიანგთანა მტკიცე ძმობას. თემდეგ წარმოსდგის სანდროი, ტანად უმსხოსი მორისა და მოახსენოს ამბავნი სატირა-იუმორისა. ენამჭევრი და ფიქრ-ლადი ჰქუხდის უმედგრეს გორისა, იტყვის თუ, ნიანგ ვით დასთმოს სევა ნავალ გზისა სწორისა. ათი წელია ნაბრძოლი, მაგრამ ეს ათი წილია, წითელი იუმორისა იპოვა ღია, ძველი მასრობის მეთოდი მოგვისპავს-გავციოელია და შეგვიქმნია ხუმრობა ჯანმრთელი, მშენებელია. მტერს არ ინდობდა ნიანგი, მოკეთეს პირში უძრახდა, სოციალიზმის შენებად ის მასებს უყვი-უძახდა, ბიუროკრატს და მანებელს სტომაქში კერძად უძახდა, უღირსთ სიცოლის მახვილით ლაღვიდა, ხათრს არ უნახდა. ჩვენთა მიღწევით ვინ დასთვლის, ზღვის ქვეშით უამრავია ამ მიღწევითა ტალოებზე კვალადმცა მიგვყავს ნავია, გახსოვდეთ ჩემგან თქმულები, განაწამც საცოდნავია, არა დაგხაროთ ეს დროშა, არ მოკვდეს ჩვენი თავია. მას ჩაუქსა ტაშოვანი აღტაცება შია გებნის იგი ჩანვად მიიჩნიეს, თვით სიმებად ზედ აებნეს ნიანგისა სახობებელი ბევრი სიტყვა გამოძებნეს თქვეს თუ, შაბშ, თქვენთან მბრძოლი, მტერი წახდეს გზა დაებნეს აი წარმოსდგა სილია მაქარზე უტკბეს ღიმიითა, უღვამნი გადაისწორნა სალოკი თითის ქიმიითა. დარბაზს გადასწვდა თვალითა, ელომც საცოდნავია, და მის ხმამ ბგერა დაიწყა, ვით ჰანგმა ჩანვის სიმიითა. მოსთვალნა ამო ამბავნი მჭერლობის, გზაზე დგომისა, იუმორის და სატირის ფრონტზე გადახდილ ომისა, და ნიანგისა სარდლობა, სად ზღვა მიუძღვის შრომისა თქვის თუ მტრებთან კვლავ შებმა გვხამს ვით ტურა-მგელთან ლომისა. შემდეგ ამჭევრდეს ბესოი, უღენტური ოქრობირობით. აღნიშნის ნიანგისაგან გზა გამოვლილი გმირობით. თქვის გვაქვს მიღწევა მრავალი, არ საძებნელი ძვირობით, აწ ნიანგკორად გავმხდარვარ, დღეიდან გეკვრით პირობით, შალვა დადიანს, გუგულის გრძობებში მოაქვთ ყორებათ, მათთან რაყდენ და ნიკოლოც ხდებნიან ნიანგკორებათ, ტიცინი კი (ჰე ღმერთო) აღდა ზუმლოკის შორის და ნიანგის სიყვარულითა უცბად გაიუმორისტდა. გამოვლენ სოსო და ნოე, კავსამე კვალად კობელი, იუმორის და სატირის მთქმელი და შემამკობელი, ამით განსრულდეს საღამო, მშობი ანალო დილისა, რომელგან ყოველნი მჭერალნი ნიანგად მოაბილიზა, მოაბილიზა და შემდეგ, ვისაც აქვს მჭერლის ანკეტა, ნიანგის სადღეგრძელოდა ყველა მიიქცა ბანკეტად.

ვარსადან.

ნახ. გულიაშვილის



• თქვენი მეთს დასწერს, რაც დღემდე
წიგნები დაუწერია.
მის კალამს უფრო და უფრო
უმახვილდება წვერია.

აქუხდა სანდრო, აქუხდა
ნიანგით ვადინადირა.
სატირის მტრებსა დაეცა,
სახელგამს ოფლი აღინა.

ბარონის წერილობითი მიმართვა ნიანგს

ამხანაგო ნიანგო!
გიაბგე, რომ დღეს შენი იუბილე
ყოფილა შეწერალთა სსახსლენი.
(რაა კაცო ამდენი იუბილეები?)
უნდა გულახდილად გითხრა, რომ
არ მომწონს, იუბილე ხომ სიბერის
მომასწავებელია!

თუმცა ისიც კი უნდა ითქვას, რომ
—თუ მართალია: „სიბერემდის სი-
ქაჩილეს მოვლოდეთ,—სილვა თოდ-
კრის თუ ეულის დაბერებას მომა-
ვალ საუკუნეში თუ მოვესწრები
მე“*).

[*] ყოველ შემთხვევაში ეულისე ვიდეო
აშხ. ბარონ, ალბათ თქვენც არ ბრძანდებით,
(უკაცრავად წლოვანობის გამხელისათვის)
მართალია, თქვენს წვერსა და უღვაშს არ
ურევია ჰალარა სილვა თოდკრის წვერ-
ულვაშივით, მაგრამ ამაში უფრო მეტი
ბრალო მიუძღვის სამართებელს, და არა
თქვენს ასაკს.

ყოველ შემთხვევაში ღმერთმა ხე-
ლი მოგიმართოთ, თუ სადმე არი
(რა მენაღვლება) ქალაქი მე არ
მეხარჯება თქვენზე, სტამბა და ფუ-
ლი.

მაგრამ ამ შენ საზეიმო დღეს ერ-
თი საჩივარი მიწა შემოვიტანო
შენზე და ეს საქმე ამ საღამოსვე
უნდა გადაწყდეს ჩემს სასარგებ-
ლოდ, ვინაიდან საჩივარი ახლა მო-
დაშია და საქმეც ყოველთვის ავ-
ტორების სასარგებლოდ წყდება.

ჩემი პრეტენზია ასეთია:
რას მერჩი, ძმაო? ათი წელიწა-
დია რეკლამის გიკეთებ, შენს ტი-
რაუს ვწევ, მასალას გაძლევ საწერსა
და სახატავს. ჩემი დაწესებულება,
პირადად ბარონ ბიბინეიშვილი და


ცალკე ნიკო მიწიშვილი ამდენი
ხნას განმავლობაში შემი მოხარკე
ვიყავით და არავითარი ჰონორარი
ამაში არ მიგვიღია.

ყოველივე ეს კი ფული ღირს და
ვინაიდან მე ჩემი ავტორებივით
ხელგაშლილი კაცი არა ვარ,—კე-
თილ ინებე და ერთი ვანშის საყო-
ფი ჰონორარი მაინც გამოიმეტე.
ყველა მანდ დამსწრე და დასტურებს,
რომ მერგება. (კუთვნილი ჰონორა-
რი მიწიშვილის ხელით გამოგზავნე).

სახელგამურად: **ბარონი.**
მიწაწერი: გიგზავნი ჩემს არქივში
ახლახან აღმოჩენილ მსცოვანი სო-
ლომონის უკვდავ აფორიზმს:
თუ კაცი ვერ გაციინე,
აბა რაფერ გაციინოს?



ნახ. დონის. ბარონი გვანის ნიანგთან მილოცვით ჩვენსა ნიკოსა; აბარებს: „ჩვენთვის ერთია იყოს თუ არა იყოსა. მომავალშიაც, ვით დღემდე, არა დავბეჭდოთ მათი რა. რა სახელგამის საქმეა იუმორი და სატირა!



შეცდომის გასწორება

მხატვრის დაუდევრობით ამხ. ბარონის თაყი შეცდომით აბია ნიკოს და პირიქით: ბარონის ტანს აბია ნიკოს თაყი. შეცდომებს ვთხოვთ ნახატის დათვლიერების დროს მოახდინოს თაყების გადმაცვლება.

ნიანგის პასუხი ბარონს

ნახ. ბარონ. ჰონორარს. თხოულობთ ჩვენგან, რადგან „მასალას გაძღვეთ საწერსა და სახატავს“ მე და მიწიშვილილი. ასეთი შემთხვევის გამო ხალხი იტყვის ხოლმე: „გაღმა გაღვე, რომ გამოღმა შევრჩესო“. სწორედ ასე იტყვიან თქვენიც. რაკი საქმე ჰონორარის მოთხოვნაზე მიდგა, კეთილი და პატიოსანი. ახლა თქვენც მოისმინეთ ჩვენი კონტრპრეტენზიები:

ჟურნალ „ნიანგის“ რედაქციის მიერ თქვენზე (ბარონ და ნიკო) ამ ათი წლის განმავლობაში დაბარჯულია:

57 კარიკატურა	1425 მან.
33 წერილი	990 "
კლოზე	1099 "
ქალაქი	842 "
ამორტიზაციის	735 "

ლოდ დაიხარჯა, შედეგი ვერაფერი მივიღეთ, რადგან თქვენზე გავლენა მაინც ვერ მოვახდინეთ (მაგარი ხალხი ხართ).

შეიძლება ეს არის მიზეზი, რომ თქვენ დღემდე არ გამოგიკიანთ ქართული იუმორისტული ნაწარმოები. მართალია, ქართველი თანამედროვე სატირიკოსები ვერ არიან ისეთი ბუმბერაზი მწერლები, როგორც თქვენ*) ბრძანდებით, მაგრამ ყველა თქვენსავით რომ ბუმბერაზი იყოს, მაშინ თქვენ ვერ იქნებით ასეთი ბუმბერაზი, რადგან შიშარბითა ყველაფერი.

ამბავმა მოიტანა და მოგახსენებთ ერთ საქმეს, რომელიც ახსიათებს თქვენს მიდგომას ჰუმორის მიმართ. 1931 წელს, პირველი ხუთწლიელის მესამე გადამწყვეტ წელში. ე. ი. მაშინ, როცა იაპონია არ იყო შეჭრილი ჩინეთში; ესპანეთში მეფე იჯდა არბეიად; ამერიკის პრეზიდენ-

ტად ჰუვერი იყო; ჩემი მეზობელი უცოლო იყო,—აი მაშინ ჩვენი რედაქციის ერთმა თანამშრომელმა თქვენ წარმოგიდგინათ თავისი ნაწარმოებების ჰუმორისტული კრებული (4—5 ფორმა), რომელიც თქვენ დასაბეჭდად მიიღეთ 1932 წელს და ავტორთან ხელშეკრულებაც დადევით.

რა მოხდა მას შემდეგ? ბეგრი არაფერი.

გამარჯვებით დამთავრდა პირველი ხუთწლიანი. დავიწყეთ მეორე ხუთწლიანი და განვაგრძობთ გვიანტების შენებას.

იაპონიამ დაიპყრო მანჯურია, შექმნა ახალი სახელმწიფო და გამოაცხადა მისი „ღმრთოუკიდებლობა“. ესპანეთში მოხდა რევოლუცია და მეფე განდევნეს. ჰუვერი რუზველტმა შეცვალა. ჩემმა მეზობელმა ცოლი შეირთო და მისი პატარა გოგონა ეზოში დაარბის, ტიტინებზე და თქვენი სათამაშო (თუ სათამაშოების) მაღაზიაში ნაყიდ კუბიკებს ისე აწყობს, რომ მელას ერთბაშად ლებულობს (საკვირველია. რატომ მაინცღამაინც მელას!).

*) „თქვენობით“ ორმაგი შინაარსით ვლაპარაკობ: ერთი მორიღებით, ხოლო მეორე—მრავლობით რიცხვში. ახე რომ აწხადაც ეს ხიტყვა შეგხვდეთ—იგულისხმე, ბარონი და ნიკო. ზმ.

ს უ ლ 5091 მან.

ეს არის დაახლოებითი ციფრი, ხოლო რეალურად მეტიც იქნება. ეს კიდევ არაფერი. ამ ხარჯებს გაუძღვებს „გიანგი“-ს რედაქცია, მაგრამ მთავარი და სავალალო ის არის, რომ ეს ფული ტყუილ-უბრა-



სრულიად სანიანგოს კონფერენცია

ათი წლის წინააღმდეგ „ნიანგმა“ გამართა კონფერენცია მოიხმო წინაგორები ქველნი და უახლესია, ყველა მათგანსა პირბასრე ხანგალი მისცა ხელშია, ახალ ბრძოლისთვის დარაზმა, ლაშქარი, როგორც წესია. უთხრა—„მებრძოლო, მისმინეთ, ხართ სხვებში გამორჩეული, მე გეტყვით ამას—ნიანგის სარდალთაგანი—**ეული**, რომ კვლად ბრძოლა გეჭირია შეტევა ცეცხლად ქიქული,

რომ სამუდამოდ დუშმანი იქნეს ალგვილი, ძლეული. რაც ჩვენ მტერს ვებრძვით ბიჭებო განვლო მრავალმა მაისმა“ ეს რომ სილიამ ისმინა უღვაშზე ხელი გაისვა, თვალები გადაანათა სთქვა:—„კითხვა სწორად დაისვა, მოქმედება საჭირო. საქმე სხვა არის, თქმა სხვა, ჩვენი ზრდის ნაოლი ფაქტები კვლავ უნდა მოგვეცეს გაისმა! (სილიას ამა სიტყვებზე ყოველმხრივ ტაში გაისმა).

თომას ლიმილმა გაუპო ტუჩები მოუბარია, თქვა:—„თქვენი ძმა ვარ ერთგული და თქვენი მეგობარია. ამას მიმოწმებს თუ გინდათ ალექსი მალულარია, რომ კარგად ვიცი ნიანგში რაც ღირსებები არია“.

ზმუცმა დამსწრეთა გახტა ქოჩორი მიმდარხია, თქვა—მტრებსა რაც დღე წაქვდა მათზე სუყველა ახია, ნიანგორებო, ხომ იცით არ ვარგა ტყვილი ფანია, როხროხადისა მზეს ვფიცავ დავგმობ, რაც დასაძრახია! **ფარსადანი** და **აღლარსან** უსმენდენ სხვებსა წყნარად. თინისმე—ეს ჰაზირა ისხდა და თხზავდა შარადას, **ძნელ-ოღლი** ახალ ლექსებსა ამბობდა წარა-მარადა, **ჭაგნელსა** ბზიკსა ეხუნა და ღიღინებდა „ვარადას“! **ფირფუა**, **შალვა** **შხუნელი** და **ყირიმელი** წვირითა, **ბენ-შეისი** და **მედლუა** სიტყვებით მრავალფერითა, იწვევდენ ალტაცებასა აფორიზმებით ბევრითა. **კოსტაიდი** კი შეჯიბრში იწვევდა **სიმონ-ალასა**, რომ ამა წელში ნიანგსა მიაწედის ათას თაბახს: **ტაქსინი** ილიმებოდა არ იკვირებდა ამასა, ეს ალელვებდა მარტოდენ ქაბუკსა—მას—**სატანასა**. **კალმოსანი** კი ამბობდა „სხვა ვინ იქნს ამისთანასა“.

წითელმთიელმაც ასე თქვა: „სჯობს შეილი სჯობდეს მამასა“.

დაბოლოს, **სანდრო** ეულმა დასჭეკა ხმითა ძლიერით, მყის ზეზე წამოიბართა მიიღო მკვეთრი იერი, მაშ, ისევ მედგრად ბიჭებო ბრძოლა, შეტევა ძლიერი, სანიანგოში არ დარჩეს არც ერთი მტრის ნაშვირი. მისსა სიტყვაზე გაისმა მუსიკის ჰანგთა წკრილი, ვაშა და ვაშას ძახილი ტაშის ცემა და გრაილი. დასრულდა კონფერენცია იყო სალაპო გვიანი.

ნახ. ქოქიაშვილის.



ზომილეთელი დაიტვირთა მრავალნაირ შრომითაო. მუხლში წყალი დაეგუბა სახელგამში დგომითაო.

აი ასეთი ამბები დატრიალდა ქვეყნად მას შემდეგ, რაც ჩვენმა თანამშრომელმა თქვენ წიგნი ჩაგაბართა გამოსაცემად, მაგრამ მის დაბეჭდვას თქვენ თურმე არ აპირებთ არა თუ ამ წელში, მომავალშიაც, რაც ჩანს თქვენს მიერ გამოქვეყნებულ 1933-34 წლის დასაბეჭდ წიგნების სიიდან.

შესაძლებელია, ამ წერილის შემდეგ მართლაც და ვერ იქნეთ იმ ხასიათზე, რომლის შესახებაც თქვენი სოლომონის უკვდავი აფორიზმი ამბობს:

თუ კაცი ვერ გააცინვ
აბა როგორ გაიცინოს?

ღიახ, ასეთი ამბის შემდეგ ვერ იქნება კაცი სიცოცხლის ხასიათზე და ალბად ეს არის მიზეზი, რომ თქვენ არ გეცინებათ, როცა თქვენს შესახებ „ნიანგში“ მოთავსებულ წიგნებს კითხულობთ.

მაგრამ ჩვენ ერთი მაინც გვიანტერესებს: სოლომონის უკვდავებისა და მის სიტყვებზე თქვენ ორში რომელს ჩამოსდის „ნიანგის ცრემლები“?

მინაწერი: ერთ მინაწერს მეც გავაკეთებ. ამხანაგებო, იყავით კარგად, არაფერი გაწყინოთ და არც არაფერი გესიამოვნოთ ჩვენგან. კონორარის მოთხოვნით ვერ დაგვაშინებთ, ჩვენ მაინც არ დაგვიწყებთ და ხშირად მოგიგონებთ ჩვენი ქუჩის ფურცლებზე.

მიიღეთ ჩემი ნიანგური სალაპი და სხვა...

ნიანგის დავალებით ზმპპი.

ნახ. ღონის.



ხასმენად დაჰკრა ბეხომმა
ღოლსა და ბარაბანსაო,
აწიო აღარ მოვაკლებთ
მწერლები ნიანგს ბანსაო.

ნახ. მ. ჟიაურელი.



ასე უცქეროდა დღემდე ტიცინი
ნიანგს, ხოლო აწი კი...



ვახ, ეს ჩვენი იოსები,
ზნაჩიტ გრიშაშვილიაო;
მისი ლექსი, მისი სიტყვა
მუდამ ვარდი შლილიაო.

ნახ. ნადარეშივილი.




გუდიაშვილი აცეკვდა,
კინტოურს ჩამოუარა,
ნადარმა ტაში დაუკრა,
ხოლო ცეკვაზე უარა.

ნახ. ღონის.



ლადო კავსაძემ ნიანგსა
უმღერა ჰანგი ერთია,
მეორე სთხოვეს—მიუგო
არ ძალმიძს, თუ მწამს ღმერთია
სხვაგან ვისწრაფი ვიმღერო
იქით მიმიწევს გულია,
ხომ იცით ამხანაგებო
ჩემთვის მთავარი ფულია!



ქაფი... აქაფვა... გაქაფვა...
წმირად გაიგონებთ ამ სიტყვებს, მაგრამ
საქმე გაიგონება კი არაა, არამედ გაგება.
როგორ მესმოდა მე სიტყვა „ქაფი“ სხვა-
დასხვა დროს?
პირველი ქაფი, რომელთანაც მე საქმე
მქონდა, იყო საპნისა. რით იყო საინტერესო
ეს ქაფი?

ხელის ბანის დროს საპნის ქაფი პირვე-
ლად ქუჭყნარევი, წვირიანი იყო. თქვენ
წარმოიდგინეთ, ასეთი ქაფის აყენებას ხე-
ლზეზე ბეზია ან ღვინო ჩვენი სიამით ეგებე-
ბოდა, გვიწონებდა, გვაქებებდა კიდეც.

მაგრამ, მოგესტენებათ, ბავშვის ბუნება
დაუღვრომელია, ჩვენ ერთხელ დაბანულ ხე-
ლზე, საპნის ქაფს მეორედ ვაყენებდით
(თულისმნეთ მესამედ, მეოთხედ, მეხუთედ
და ასე დასრულდებოდა). დაბანს, ვიხე-
დით საპნის ქაფიან ხელებს, სანამ ქაფისგან
სხვადასხვა სიდიდის ბუშტები არ დაიბე-
რებოდა, ხელებს არ დასწყდებოდა და
შავროში არ გაფრინდებოდა. ჩვენ სიამით
თვალს ვადევნებდით ამ სახეიდანებლო
შავრონავტებს, სანამ ისინი შავროში არ დაშ-
რებოდა და არ დასჯდებოდა.

მაგრამ ეს ჩვენი შრიამული იყო სწორედ
ჩვენი გამცემიც და ამ ვართობას მალე
გვაშხამებდა ბებია ჩვენი ან დედაჩვენი
ჯადოსან სკამოდ ხამუში ხელისს ყუ-
რებში ჩაფრენა.

ქაფის ვაფრენა და ყურებში ჩაფრენა—
აი, ამ ქაფიან წუთითა ორი პოლიუსი.

— სირმა! შენი ცხენი დიტომ დაიჭირა,
აღვირად საკუთარი ქამარი ამოსდა და იმ-
დენი აქენა, სანამ სულ ქაფში არ შეიკუ-
რა...

აი, როგორ მესმოდა ჩემზე ჩემი ტოლი
ბავშვი ჩვენს საერთო მეზობელს, სირმა სი-
წიაშვილს, როცა მე უკვე წამოვიზარდე,
ცაყვიდან ჰინკა გავხდი და შემძლო ცხენ-
ზე ჯდომა, მისი ხედნა.

დაბადებიდან მიცვალებამდე მაინც საკ-
მაოდ გრძელი გზა ანუ დროს საკმაოდ
გრძელი ნაყვითა ვასავლელი.

ამ გზაზე ქაფსაც თავისი გზა აქვს. იგი
მდინარის ქეჩოზე შემჯდარ წყლის ქაფსა
შვავს.

მოდის დიტო დაბადებიდან მიცვალებამ-
დე და მიჰყვება მას ქაფი, როგორც ერთგუ-
ლი და ვანუჯრელი თანამგზავრი.

დიტო ვარ შე.

თუმცა იმით, მე რომ დიტო ვარ, ქაფის-
თვის არაფერი არ იცვლება. ქაფი ანუ მი-
სი გაგება (ცხადია, მისი გამოყენებაც!) იც-
ვლება მხოლოდ დიტოსთვის.

— დიტოს პრისტავით ყოფნის დროს კი
ზრობათ აუქაფავს—ამობოდენ ხოლმე შე
ზობლები ჩემზე ცხონებულ ნიკოლოზის
დროს.

მერე მე რა ზრალში ვარ! სულ დედა
ჩემის ბრალია, რად დაგზო მან თეთრ-წი-
თელი ქაფი?

შვინია ვასაგებია და კომენტარიები აღარ
არის საჭირო.

მხოლოდ ამ დრომ გააქირა საქმე: სულ
იცვლება, მიიცვალოს ინი თქვენი მტერი,
როგორც ნიკოლოზის დრო მიიცვალა და
შეიცვალა და თქვენი ჰირო თან წაიღო.

ახლა, აშქამალ სოციალიზმის ხანაში ეიშყო-
დებით და უკლასო საზოგადოებას ვაშუ-
ნებთ.



ფოცხვერაშიდითა კოტეთა გამართ ეს ბჷობა-ყრილობა,
ერთმანეთს ეჯიბრებთან და ამაზე აქეთ ცილობა:
რომელი კოტე სჯობია, პირველი მივსცეთ რომელსა,
კომპოზიტორს თუ მსახიობს, ან დრამატურგად მკვდომელსა?
ყველა კოტენი ჩემულობს მას სურს პირველი ადგილი,
ვერ გადაწყვიტეს კოტეთა ეს კითხვა არა-ადვილი
კომპოზიტორმა კოტემა შეაქო კამერტონია,
გაბრაზდა კოტე მწერალი, გამოიცვალა ტონია.
მამართა სხვათა კოტეთა:—თქვენ ხუმრობთ, ასე მგონია.
პიესა დამიწერია, თქვენგნით არს მონაწონია.
პიესა არის რაც არის, სხვა ყველა რის მაქნისია!
წამოღვა კოტე არისტი: აბა ეს რა სინდისია?
არტისტი არის რაც არის, სხვა მე ფეხებზე მკილია...
ვერ ვერ შეთანხმდენ კოტენი... იქი თ და აქეთ მიდიან.

ეს წყნული ქაფი კი ახლაც არ ისვენებს,
არ მსვენებს და გაუგნის ახალ და ახალ
სამყაროებს მაჩვენებს...

აი მაგას კი შეაჩვენებს...

დაწყვეტილი, მაგრამ ვინ მოვიშველიო?
ღმერთი არ არის, და, მაშასადამე, ვშმაკაც
არ იქნებოდა, ამ ქაფში რომ არ ყოფილიყო
შებენულ-შემაღული.

ნაპრისტავალ კაცს, აბა, უკეთეს ადგილს
ვინ მომცემდა დღევანდელს უადრესად პრ-
ნტიპიალურს დროსა და პირობებში? აგერ
ლუდსა ვყიდი ორი დიდი ქუჩის კუთხეში
და თვეში გასამრჯელოდ მხოლოდ 75 ჩერ-
ვონტის მართიანს მამღვენ ხელფასად.
გაგიკვირდებათ, თუ როგორ ვახერხებ 75
მანეთით ასე ფართო ცხოვრებას.

აქ უკვე ჩემი ძველი გამოცდილება მშვე-
ლის, მაშინაც, როცა პრისტავი ვახლდით,
ჩემი 75 მანეთიდან 2 თამამად შემეძლო
თვეში 750 მანეთის ხარჯვა.

გასაგებია უკომენტარიებოდ!

და ახლაც, როცა 75 მანეთს ვღებულობ
თვეში ხელფასად, ვხარჯავ არც მტრს, მა-
გრამ არასდროს ნაკლებს, ვიდრე 75 მანეთს
(თუ საქირიება მითხოვს, შესაძლებელია

ამ ცაფრის ორჯერ ან კიდევ სამჯერ და
მეტჯერ გადიდებაც)... მხოლოდ ეს—ღლე-
ში!

თვეში კი, ვერ გეტყვით, არ ვიცი რამ-
დენს დავხარჯავ, რადან მოთხოვნილება
არა მაქვს მაინცა და მაინც დიდი: მყოფ-
ნის სულ ორა-სამი ხელზე მოსამსახურე,
ორი სამი კერძი და ზედ ტკბილულ ხილ-
ბოსტან-დაყოლებული სადილი, ყოველდღი
ურად საუზმე. საშაბი, ვახშამი, ღვინო,
ღაღაღა, ქაღება...

— ამხანაგო, მოიცათ, მოიცათ... ეს რო-
გორ, რა ანგარიშით? თქვენ ხომ ლუდსა
ჰყიდით?

- დიახ!
- ლუდი ხომ სხვისია?
- დიახ, კოლხურატიგის!
- თვეში ხომ 75 მანეთს ხელფასს ღებუ-
ლობთ?
- ძმაბ!
- ვერე საიდან ახერხებთ ყოველივე ზე-
მოდ თქმულზე ხარჯების გაწევას?
- უკაცრავად, ეს კითხვა უკვე მე არ
მეხება, ეს ქაფსა ჰკითხეთ?
- ძმაბან, გასაგებია უკომენტარიებოდ...
მაშინია.

საუბარი

ნატახტარის წყალთან

ჩვენს თანამშრომელთან საუბარში, ნატახტარის წყალმა ბევრი რამ საიდუმლო ხასიათის ამბავი თქვა; ბევრი არ თქვა; ზოგიც ჩიინს თანამშრომელს გამორჩა, ზოგი რედაქციამ შეამოკლა, ზოგი კიდევ სტამბაში ასოთ-ამწყობს გამორჩა, ასოთ-ამწყობის მიერ გამორჩენილი ასოების ძეხნაში კორექტორსაც დაავიწყდა ნატახტარის წყალის საუბრის შესავალი, რომელიც ცალკე გაუკეთა მას ნიანგმა, და ამრიგად, რაც გადაჩა, ვებეჭდვთ. კიდევ მადლობა „ღმერთს“, რომ ნატახტარის წყალი რკინის და თუჯის შიგარ მიღებში გვყავს მომწყვდეული და არ არის იმის შიში, რომ რედაქციაში შემოიჭრეს და აღიაქოთი ასტენოს მისი აზრების „დამახინჯებისათვის“, როგორც ეს ხდება ხოლმე ძალიან ხშირად სხვადასხვა სფეროებიდან გამოსული ელემენტების მხრით „მიუხედავთ პიროვნებისა“.

— მე, — აცხადებს ნატახტარის წყალი, — ერთი წუთითაც არ შევეურიგდები იმ აზრს, რომ ერთ რაიონში ვიყო უხვად და ჭარბად, ზოლო მეორე რაიონში მოქალაქეებს ნერწყვი გამოშრალი ჰქონდეთ. ამას მე ვუწოდებ უმზავსოებას, რომელიც მხოლოდ ავტალის წყალისთანა ელემენტებს შეუძლიათ მოითმინონ. არა და არა. „ნებეთა და ვართა ვინათვან მზე სწორად მოეფინების“, ნატახტარიდან წყარონიც ყველასთვის მოედინების“...

არავითარი შეფერხება მე არ ვიცი. მე მთის შვილი ვარ და ამირიშაც დაუღეგარი. „ამან არ შემოიტანა წყლის ფული, იმას ალია, იმას დაუკეტოთ, ამას გაუხსნათო“ — მე არ გამაგონოთ. არავითარი მიკეტ-მოკეტვა; არავითარი გახსნა-გამოხსნა, მოაწყვეთ საქმე ისე, რომ ფული თავის დროზე მოდიოდეს საღაროში.

მე მიყვარს სისუფთავე, ბაცილებს ახლოს არ ვიკარებ და თუ ჩემს მიმართაც არ იქნა დაცული სისუფთავე. თუ გინმეს რამე გაუჩნდა, თავის ცაყს დააბრალოს...

მე სასმელი წყალი ვარ სუფთა და ანჯარი. მოკვდა ის დრო, როცა გაძახოლით: „ღვინოს დავლევ წყალს არაო, არ გეგონო მასხარაო“. მართლაც ტიკინა და მასხარა იქნება ის, ვინც მე არ დამაფასებს და არ დაფასებს მუშათა კლასისა და მშრომელთა დაუღალავ შრომას, რამაც მე ტკილასის ძარღვებში ჩამაყენა.

საზვიად-ბან-შიჩ



ნატახტარისა წყარომა ტფილისში იწყო ჩხრიალი, მშრომელთა ბრძოლით აღსრულდა, მათი ნატვრა და ტრფიალი!

მოჰქრის, მოშხუის ჩქერებად ცივი, ბროლივით ანკარა, გარეცხა ქუჩის ნაგავი უფსკრულში დაასამარა!

შავსიელის აღსარება

(პასპორტიზაციის ბაზო)

სიხლი ყელში მაწვება. ამ კომუნისტების ყოფა ვატირე, წლიდან წლამდე სულ კამპანიებს აცხობენ და აცხობენ. ყველაზე უწინ შემოიღეს ინდუსტრიალიზაცია, შემდეგ კოლექტივიზაცია, პოლიტენიზაცია, ზაფედერაცია, ქალების დღე, მოსავლის დღე, ცხენების დღე, თესვის კამპანია, მარგვის კამპანია, მოსავლის აღების კამპანია, სახელმწიფოსთვის ჩაბარების კამპანია და ეშმაკმა იცის კიდევ რა ჯანდაბა. ყველაფერი მეგონა, მაგრამ თუ ამ პასპორტიზაციის კამპანიასაც დაიწყებდენ და ქლაქიდან ვაფერთდენ ყოფილებს, შავსიელებს, ჩარჩებს, სპეკულიანტებს, ახალ ჩამოსულ საეკვო ელემენტებს—ეს კი აღარ მეგონა.

ვიცი, რომ ჩემი დღეები ქლაქში დათვლილია. ეხლა დავდივარ ქუჩი-

ბში და ვემშვიდობები ჩემს ნაცნობ მეგობრებს.

ვიცი, რომ სამუდამოდ დამატოვებინებენ ჩემს ტფილისს. ვეღარ გავხედავ მამა-დავითის წმინდა მთას, რომელიც აუარებელ სვედიან ფიქრებს მიჭრობდა და გულს სიამეს გვრიდა.

შშვიდობით ჩემი სამსახურის ორგანოებო, აღმოსკომო, ჯანსახკომო, მიწსახკომო, ფინსახკომო და სხ. მე თქვენ დიდი ენერგია შეგწირეთ. ვიმეყვება თქვენი მოცემული ავანსები ზოგის ათასი, ზოგის ორი ათასი, ზოგის მეტი და ნაკლებიც.

თუ ბაშფორთი მომცეს, 2 ოთახს გავყიდი და ორში ვიცხოვრებ და თუ არა თქვენთვის ჩამიბარებია ჩემი ბინები—ათას ხუთასი თუმანი ნაძლევი და აწი თქვენ იცით!

შავსიელი ტრიფონი. დედანთან სწორია: ძნელ-ოდლი



ნაზახსარი

ნატახტარის წყარო
 ცელქობს, მოწანწყარობს.
 მოედანი ხალხით
 შეიმობს და ხარობს!
 ამართულა კოშკი
 მინის, მრავალფერო,
 და იფრქვევა მიხვან,
 შადრევნების ჩქერის!

უბარია ყველას
 შქუსს ყიფინა შვების,
 მიღამოს აბრუებს
 შიმნი გამარჯვების!
 არ ახარებს ევა
 ზოგიერთებს მხოლოდ,
 დაღვრემა სახე
 ცხვირი უვავს ბოლოც!

„ერთგულეა“



ერთგული

სენა ზ. გიგლიძის
სამსახურში

შალიკო,
სონა,
ნიკო,
ელენე.

ს.ს.ს.

ოჯახში

შალიკო. (დახედავს საათს) ჰუ, როგორ დამეგონებია, წლითი ანაზღაურდა. (სონას) სონიჩკა, დარაგაია, ია უხაუე ნასლუბებუ ანო იცი, როგორ დატვირთული ვარ სამუშაოებით? ცოტა ადრე თუ არ მივიდი სამსახურში, რას არ იტყვიან ჩემზე. იმის დროც კი არა მქვს, რომ ვტყუებოდე შენი მზერით, შენი აღერებით. (გხვევა) სონიჩკა, იცოდე არ მოიწყინო, დღეს შეიძლება საბავშვო გერაც კი მოვიდა! (სონას ვტყუბო სინარული, მაგრამ ცდილობს არ შეიშინოს).

სონა. (ნაწყინი ხმით) ასეთი შემთხვევა ხომ პირველი არ არის, ჩვენ მეგონი თვეში ორჯერ არ ვსადილობთ ერთად. შენი საყვარელით მომდის, ჩემო სიცოცხლე, თორემ სხვა ჩემს ადვილს ათასჯერ ულტიმატუმს წამოგიყენებდა...

შალიკო. (სიცილით) ულტიმატუმს? ჰმ. ნეტავი როგორი იქნებოდა ის ულტიმატუმს? „რანავიღს“ მითხოვდა, არა? გაანინა—ვინ იქნებოდა შენს ადგილას. შეიძლება ულტიმატუმს სიამოვნებით მიმეღო... სულ სხვა შენი ულტიმატუმს ჩემო კარგო, უშენით ერთი წუთით სიცოცხლე არ შემიძლია. ყველა ქალები შემოგვევლოს შენ, ჩემო სიცოცხლე... (გხვევა) ი ტა, სონიჩკა, ჩემო სიყვარული ვინ იცის შეიძლება ვასწავლოთ ვერ მოვიღე... აბა, იცოდე არ მოიწყინო?

სონა. (თვალში უბრაყინდება, ტირილს ხმით)—აქი სადღეზე დამაგვიანდებოდა... ახლა ვასწავლავ ვერ მოხვალ? მთელი დღე როგორ უნდა გავგლო უშენოდ, არა, არ შემიძლია—გავეფიქვებო...

შალიკო. (აღერსით) სონიჩკა, მაია დუშკა, (სიმღერით) ნე პლაზ დიტია, ნე პლაზ როდნაია... აცი რა გითხრა სონა, გენაცვალე, შენ უნდა წარმოიდგინო, რომ მე მუდამ შენთან ვარ!.

სონა. როგორ? უნდა წარმოვიდგინო? არა, ეტო უქას!

შალიკო. (გაოცებით) რას ამბობ სონიჩკა, ნუთუ ელი ია ვ ტეაიომ პრეტენტაციონი უქას?

სონა. ნუ თუ შენ ასე გავაგე? არა, მე ასე კი არ მინდოდა მეთქვა. ჩემთვის უქაი ისაა, რომ შენ ჩემთან მუდამ არა ხარ... ნეტავი სამსახურიდან დავითხოვდენ. რა ბედნიერი ქალი ვიქნებოდი სულ მუდამ ახლში მეყოლებოდი, არსად არ გავიშებოდი. მაშინ კი, მაშინ ჩემი ბედნიერება უსაზღვრო იქნებოდა.

შალიკო. (სიცილით) სონა, გენაცვალე, ენამ ხომ არ „გიყვილა“, სწორედ დღეს რე ვიხა იწყება, რომელიც ვინ იცის როგორ დათავდება.

სონიჩკა, სოლნცე, (გხვევა) მაია უიხ შეიძლება ამდღამ ვერც კი მოვიღე... აბა შენ იცი თუ არ მოიწყინ. ხომ იცო, რევიზორებს თუ ცოტა პატივი არ ვეცი, რევიზორს შედეგი ჩემთვის ხელსაყრელი არ იქნება.

სონა. (თვალში სინარული გამოსკვირებს. თავს ჩაღუნავს და ტირის). ამე... ღამ... შევძლო... ბავშვ მოვიდგო, მე კი მთელი დღე ღამე... მარტო... უნდა ვიყო, მომწყინდა თანატრუსი და კინოებში სცენებთან სიარული. (შალევს) მეტი აღარ შემიძლია (გხვევა) მე მინდა მუდამ ჩემთან იყო... მე ვწყურია შენი აღერის... შენ კი მხოლოდ წარმოადგენი თ გინდა იყო ჩემთან... ნეტავი მაინც არ

ვიყო ერთგული ცოლი... შენს მეტი ყველა მამაკაცები ჭრივით მეჯავრება...

შალიკო. სონა, ტი პაუალუსტა პერესტან პლაკატ. (გულში იკრავს) ვინა მე არ ვიცი, რომ შენ ჩემი ერთგული ხარ, ისევ როგორც მე შენი? მეც ხომ სხვა ქალები ჭრივით მეჯავრება... (სიმღერით) „მხოლოდ შენ ერთს, რაც რომ ჩემთვის მოუტია მალღიდან ღმერთს“.

სონა. (მღერის) სიყვარული, სინარული, მხოლოდ შენ ერთს, მხოლოდ შენ ერთს. (გხვევა ერთმანეთს).

შალიკო. ახლა კი უნდა წავიდე... აბა, სონიჩკა, შენ იცი, როგორც ვითხარი არ მოიწყინო (მიდის კარებისაკენ).

სონა. (აჩერებს) შალიკო, მოიცა, აქი ამ დღის შენი საქმის მმართველი უნდა მოსულიყო...

შალიკო. ჰო, მართლა, საცა ნიკო უნდა მოვიდეს... გადავიცი მას ის საქმეები (მიუთითებს მაგიდაზე დაწვრილებულ საქმეებზე) დიუთხარი, რომ ისინი უნდა გადასცეს ჩვენს ტრენსის დირექტორს, შემდეგ ბანკში ვა-მოთაროს, შემდეგ კომისარიატში, იქიდან ქარსანაში, შემდეგ მუშაგლებისში და იქიდან კი მოვიდეს სამსახურში... მხოლოდ იცოდე, ნიკო არ მიყვი კაცია და მასთან ფრთხილად უნდა იყო.

სონა. (წყინით) ტი პაუალუსტა ტაკის ვეშეი ნე ვავარა მენე, ი ნე ასე არბლია მე ნია, როგორ, იმდენათ დავეცი, რომ შენი საქმის მმართველს მივცემ ნებას მეარშიყოს? (ცხვირი ღიმილით) კაცები დიხობენ თუ!

შალიკო. ნუ, ხარაში ეი ბოლუ სტაბრი ნელშია შუტიტ. აბა, ერთი კიდევ (კოცნის) ახლა კი მივდივარ (გადის. სონა კარებს მოიხურავს).

სონა. ვაკანეც როგორც იქნა ვედირეს... ნეტა მართლა თუ სჯერა, რომ მისი ერთგული ცოლივარ (კედლის სარკის წინ დგება. ტუჩებს იშვინდა) ღმერთი ჩემო, რა საშინელება ყოფილა ქმარი... ქმარის კოცნის ყინულის კოცნა სჯობია, (კარებ საკენ იტყობება) ნეტა რა დავებოთ? სად არის ადენანს? ოხ, როგორ მინდა მის ტუჩებს დავეშვაო... (მღერის) კოცნა მინდა, კოცნა მე (ხარა რეკს, სონა კარებს მივარდნა და გააღებს. კარებში განიხილდება ნიკო).

ნიკო. დილაშვილიძისა ქალბატონო, შალვა გიორგიის სახლში ბრძანდებო?

სონა. შალვა გიორგიის სამსახურში წავიდა, თქვენ ვინ ბრძანდებით ყმაყვილა? (ცითობს არ იცნობს).

ნიკო. მე შალვა გიორგიის საქმისმმართველს გახლავართ, ნიკო შენგეტრიალაძე.

სონა. (ემპაქური ღიმილით) საქმეა მმართველი? შენგეტრიალაძე? ერთი მითხარით, თქვენ ყველა მის საქმეებს განაგებთ?

ნიკო. მე ვალდებული ვარ ყველა მის საქმეზე განვიგო.

სონა. ოჯახური საქმეები?

ნიკო. დიან, უმთავრესად ოჯახური.

სონა. მაშ თუ ასეა, მე შემიძლია გავიგოცეთ შალვას დავალებით მისი ერთი საქმე და იმედია ერთგულად შეასრულებო.

ნიკო. პაუალუსტა, მე შალვას ერთგული თანამშრომელი ვარ... მზათა ვარ ვემსახურა.

სონა. იმ ეს საქმეც... ინებეთ (ნიკოს გადაუხედა).

ნიკო. (სონას გხვევა) ამ საქმეს კი ჩინებულად შევესრულებ.

შალვა. (თავის კაბინეტში. საათს დახედავს) ჩორტ ვახში... მეგონი დღეს არაფერი გამოვადეს... დაიგვიანა... რაღაც ცუდი აზრები, ნიკო ხომ დავთესე მაინც (მეორე ოთახიდან მოისმის საწიო მანქანაზე გაქუნი ელოც მოსულა (თავის თავს) აბა შენ იყო შალვა გიორგი... იცოდე, თუ პირველი ვას როლა მიზანში ავიცდა, მორჩა შენი საქმე... (ელექტრო ფოლაქს თითს დააქვია, შემოდის დარაჯი) დაუძახეთ ელენა ერთგულაშვილს (დარაჯი გადის შემოდის ელენე) სალამი აქანავო ელენე (ელენე სალამს აძლევს) თქვენზე გულმოსული ვარ, ძალიან გულმოსული, სიტყვა არ შევარულით და დღეს თავის დროზე არ მოდიო.

ელენე. ბოდიშს ვინდი შალვა გიორგი, მე მინდოდა რომ ჩემს ქმარს ტყვი არ აეღო. თუმცა მას დღეი ხანა ასეთი გრძობის ატროფია აქვს.

შალვა. მე თქვენს ქმარს კარგათ ვეცნობ... ის ღრმად დარწმუნებულია იმაში, რომ თქვენ მისი ერთგული ცოლი ხართ.

ელენე. ეს ხომ მართლა ასეა, ჩემი ქმარი სთვს არ მიღალატა და არც ვუღალატებ...

შალვა. ღალატა რა შუაშია... მე თქვენ კარგათ ვიცნობთ ამხანაგო ელენე... ისაც კარგათ ვიცი ვინც თქვენ გავსურავრება (სიცილით) ჩემს სამფლობელოში კი ასეთ რამეს არ დაუშვებ. ჩემს ბაღში ყვავილი იყოს და სხვამ მოსწყვიტოს?

ელენე. კეთილი მებაღე ყვავილის მოწყვეტის ნებას სხვასაც მისცენ.

შალვა. უკაცრავად მე ასეთი მებაღე არ ვახლავართ. მე შემიძლია უფლება მივცე სხვას მოწყვეტილი ყვავილის ყნოსვისა, ეს კიდევ ჰო მოწყვეტა კია, ნიკაიბ.

ა, თვენ ამაზე რას იტყვიან?

ელენე. რა უნდა ვთქვა... ყვავილს ჩინა... არის ისეთი ყვავილი, რომელიც მოწყვეტისთანავე ქნება და სხვისთვის გამოსადეი აღარაა.

შალვა. მე ისეთი ყვავილი მაქვს სახლში, როგორც თქვენა ხართ... ყოველ შემთხვევაში თქენი ნიკო მას ვერ დაიწყებენ. (შალვა იცინის, ელენე იღიმიება).

ნუ კა ელენა სემონონენა შეუდგეთ საკვებს, რომ იცი თქენი დავსებულებს რევიზია მიდის, თქვენ ჩემს განკარგულებასში ხართ დილიდან მეორე დღემდე. აბა დაიწყეთ.

ელენა. პაუალუსტა, მე მზად ვარ.

შალვა. კარებს ჩაიკეტს. ელენეს გადაეხევა და კოცნის. ელენაც კოცნით უპასუხებს. შემდეგ განაგებს ხელიდან გაუსხლებება).

ელენე. შალვა გიორგი, როგორ გეკადრებათ, მე ერთგული ცოლი ვარ, ქმრის ღალატი გულში არ გამიღვია.

შალვა. ერთგული ცოლი ხართ? მერე და ბრძანდებოდეთ... თუმცა ნიკო რა შუაშია ის ხომ თქენი ქმარი არაა?.. თქენი კი მასეც ერთგულებას ვეფიცებით, აი ეს თქენი წერილები. (წერილებს უჩვენებს).

ელენე. (თავისთვის) ახია მასზე, წერილებისათვისაც ვერ მოუხედავია. (შალვას) ქმარის მიმართ ერთგულება ერთია. მეგობრის მიმართ კი მეორე.

შალვა. (სიცილით) ჩემს მიმართ კი, მესამე არა? ვოტ ეტო ია პანიპაუ, მომეცი ხელი (ელენე შალვას ხელს აძლევს, შალვა თავისკენ მიიხილავს მას და გულში ჩაიკრავს) აი მესამე ყვავილს ასეთი ერთგული თანამშრომელი.

სან. ე-ლი

დავითის გასაჭირი



კაბარდინი წარმოდგება არა მოძვე ქაბარდოს რესპუბლიკისაგან, არამედ „ჩარლსტონისაგან“. არსებითად კაბარდინი არც „ჩარლსტონისაგან“ წარმოდგება, მაგრამ ტვილისის საზოგადოების ერთი ახირებულ ნაწილის წარმოდგენით, კაბარდინი „უჩარლსტონით“ (ან პირიქით) ყოველად წარმოდგენილია.

მაგრამ უფალმან დალაბროს ერთიცა და მეორეც. მთავარი ისაა, რომ რელიგიის მათდ-კამოლის დაბრკად დაუქა მცვ-ლომა და შუადე კაბარდინის იმხანდებამ, ელის სისწრაფე მიჰქარავს იმ სისწრაფესთან, რომლითაც კაბარდინის გამოშვების ხმა გავარდა ტვილისში. ხოლო მეტი კატის კნავილია იმ ხმადრთან, რომელიც კაბარდინმა ატეხა.

ვაი, „ნიანგის“ მადლი გაუწყრეს კაბარდინის მომგონს, ისევე როგორც „ჩარლსტონის“ ინიციატორს. სათანადო გამოშვებულბე მისხედენ, რომ კაბარდინი საუკეთესო მატერიაა „ჩარლსტონის“ კონსტიტუციისთვის და სწორად აქედნ იწყება საუფეკრო ტრესტის მმართველის, დავითის წამება.

რის მსოფლიო, რის სამოქალაქო ომებში? რის ცუტსმა, რომელი საირყამში! რაა ყველა ეს იმ ქართველთან შედარებით, რომელიც წყუელმა კაბარდინმა ატეხა სადექრო ტრესტის მმართველის კაბინეტსა და საკუთარი ბინის გარშემო!

იერიშები იწყება დილით, ხოლო ნელ-ნელა ნაშუალამების ორ საათზე, მოიერიშენი მოდიან ავტომობილებით, ეტლებით, ტრამვაით, ცხენით, ფეხით, ტელეფონით... რაშები შეიარაღებული არიან სტაყებით, წერილებით, მუქებით, ალერსით, ცრემლებით და საერთოდ კაბარდინის დასაპყრობ ყველა თანამედროვე და თანულდრო-საშუალელებით.

ვაყავი ხარ გა გამაგრდი დავით რუხადე!

კაბარდინი გადაიქცა ცოლ-ქმრის გაყრის და შეტრების, შეყვარებისა და შეტოვლების, თავმოყვარებისა და სახელის, და სხვა მრავალ ღირსებათა მიზეზათ, საქმედ, ობიექტად... ყველაფრად, რადც გნებავთ.

ენ არ ილტვის კაბარდინისაკენ? არ დარჩენილა მეტეორული, ინვენერ-ტეჰნიკოსთა, პროლეტმწერლური, სგარეო საქმეთა და სხვა ორგანიზაციების მუშაკები. კაბარდინისაკენ მისწრაფვის თვით რკინის-გზა, რემდასი, აიკიქიმი, წთელი ჯვარი, და ასე გასწავით, სოცულწარმეღვლელის ორგანოებიც! (სად კაბარდინი, სად სოცულწარმეღვლელია?).

კაბარდინმა მრავალი მუშაკის ტენში (ვისაც აქვს ასეთი) შეიტანა დეზორგანიზაცია და მანვე მდიდარი მასალა მისცა ჩვენს პოლიტსამმართველოსა და მუშგლებს.

კაბარდინმა ხელი შეუწყო ბენზინის მონხარებას, ავტოების დატვირთვის (მიმოსვლა სადექრო ტრესტამდე და უკან), განმტკიცა მრავალი ჯიბე (70 მანეთიანი კაბარდინი საკომისიო მალხიებზე 2,000 მანეთად იყიდება), ბევრი განათავისუფლა ოჯახური ფუსფუსისაგან (ყველა კაბარდინის საძებნელათაა წესული).

— „ან კაბარდინი, ან სიკვდილი“, საერთოდ კი:

„უკაბარდინოთ ვით დავიძინო, უკაბარდინოთ ვით გავიციო!
კაბარდინისთვის უნდა ვიზინო, თუ, კაბარდინო, უხ! კაბარდინო!“

და თქვენგან განწირული, ჯერ კიდევ ჯავნლონით საფხედ და არა მსკოვანი დათიკო რუხადე სწორედ ამ თანასწორო ბრძოლაში დაეცა...

ამა და ამ ორგანოდან (ჩემზე მაღალია) მიღის „მომართვა“:

— „წინადადება გეძლევათ განსაკუთრებული მიზნისათვის გამოსწერო ხუთასი მეტრი კაბარდინი. საკითხი შეთანხმებულია“!

კარგი მომართვაა შერ ნუ მომიყვდე, ასეთ ხუთასიან მომართვას ხუთასი ბრძანება მიჩვენია.

ყვლავ „მომართვა“ იმევე ორგანოდან:

— „განსაკუთრებული მიზნისათვის წაღებული საჭიროელი უმიზნოდ სხვა დანიშნულების მიხედვით დარჩება. დამატებით საჭიროა 500 მეტრი. საკითხი შეთანხმებულია“!

მართლბა, ეებრძვი ყოველგვარ შემთხმებლობას, მაგრამ თავს ზევეთ ვერ ახტები და... მიღის მორთვი ხუთასი მეტრი აჩარლსტონი.

კაბინეტში შემოდის დამსახურებულბი პირი. ფხზე ვდებებით:

— რითი გცუთ პატივი?

— უნდა მისწნაო. ოჯახი მეშლება! სამი მეტრი კაბარდინი თუ შემოაბრუნებს ჩემს ცოლს, თორემ... ისე რას მოგიცილს ოცი წლის ქალი სამოცი წლის ბერიკაცს... მიღის კაბარდინი.

კარები იღება.

— დავით რუხადე თქვენ ბრძანდებით?

— მე ვახლავართ...

— ჩემი ქმარი საუცხოვო აზრისაა თქვენზე, ყოველთვის აქებს თქვენს ღირსებებს... მე მიწადა მხოლოდ სამი მეტრი კაბარდინი, უარი არ მითხრათ... გული სუსტი მაქვს.

ახლგაზრდა ქალი პორტფელით.

— დათიკოს სალამი! რა გაკვირებულბი მიცქერი, ვერ მიცანი? (ასახელებს მაღალი რანგის კაცს) ცოლი ვარ, კაბარდინისთვის შემოვიარე. უარი ჩემთან არ გადის დათიკან! რას ქვია უარი, სხვაზე ნაკლები რითი ვარ! უკაბარდინოთ აქედან ფხს არ მოვიცილო...!

ამჯარა ინტერიკის ნიშნებია, იქნებ საქმე თვითმკვლელობამდეც მივიდეს და მევე და მბარალონ, სარჩულიც გამოწახონ... საზოგადოებრივი აზრი, ოჯახი, მომეალი... და ამიტომ საქმე კაბარდინით თავდება.

ბრძოლით დაღლილი დამის ორი საათისთვის მივდივარ სახლში. ტელეფონი თავგამოდებით უკრავს. დიასახლისი იღებს მილს, უსმენს და თან ნიბღერის ქალის ხმა გავიონა და...
— ვილაც ლამაზი გირეკავს, ყმაწვილი! დელაპარაკე და შემდგ ჩვენ მოვილაპარაკოთ!
— უსმენ. — „დავითი ხართ?“ — „დილ, დილ!“ — „მე ისა ვარ, ამის ცოლი ვარ!“ — „დიდათ საამო!“ — „ჩემი ქმარი და ჩვენ ყველანი დიდათ გავასებთ... — „გამდლონთ... — „რატომ არ შემოივლით ხოლმე“? — „რა მოვასწებთ... ვლულულდერ დაბნევით. — „დავით, ზგლისთვის სამი მეტრი კაბარდინი დამჭირდება, შემოვივლი და... გნახვით. ა? არაფერი მესმის მხოლოდ სამი მეტრი... უარი არ მისის ტელეფონში! ძილი ნებისა... შემოიარეთ ხოლმე ცოლ-მეილით...“

დილით, 9 საათისთვის ტრესტის კაბინეტი სავსეა ქმრიანებით, უქმროებით, ქმარ გაყრილებით, ნორჩებით და ქიღარებითაც.

ჩემსკენ მოიწევს ქალთა არმია, მეც ვცდო რაობ ბარათების ზღვაში...

— „ამხ. დავით, ამის მომბანს“... —

„დავით, ამ ბარათის მომბანს“... — „დათა, ამის გადმომცემს“... — „დათიკო, ამის პატრონს“... — „ბიჭო დავითა, ეს ქალი“... — „დათუნა, ეს ჩემი მეცხრე დედაკაცი“... —

იწყება „პატივცემული დავითით“ და თავდება „დათიკულა ბიჭით“... კაბარდინის ნაქრები ეხვევიან დათას, დათიკო ცურავს კაბარდინის მორევეში, საწყალო დათუნა წაილო კაბარდინის ნაქადმა...

კაბინეტი დაცარიელდა, ქალთი სავსეა ბარათებით. შემოდის პროლეტმწერალი სალამი-ქალამი.

— დავით სადა ხარ კაცო, ვერც მწერალთა სასახლეში გხედავთ, ვერც თეატრში, ლექციებზე, რისპუტებზე! დარადერს კითხულობ? მოსწყდა ლიტერატურას?

ჰმ! ამან რა იცის, რა ლიტერატურის ვკითხულობ! მიწადა იანიშრო ქალათში ჩაყვლი ლიტერატურა, მაგრამ თავს ვიკავებ.

— ახალ წიგნებს დებულობ?

ვეუბნები, რომ გადატვირთული ვარ, გულის ანომალია მომდის და ტროპიკული აპენდიციტიც მაქვს... ერთი სიტყვით მოვეწყდი ცხოვრებას.

მეგობრულად დავმხარებით ერთმანეთს, რა მშვენიერია მწერლობა! კაცს, გარდა ლიტერატურისა, არაფერი აინტერესებს. თვით კაბარდინიც კი...

მეორე დღეს მომდის წიგნები. დავეწაფე ლიტერატურას... მდლობელი ვარ, ზენდერი ვარ, ლიტერატორი ვარ, პროლეტმწერალი ვარ, კაცი ვარ და არა კაბარდინის დამრიგებელი...

მესამე დღეს შემოდის მწერალთა მთელი ჯგუფი. სისარული მიტაცებს, მასხადამე, მე უკვე მწერალთა რიგებს ვემატები. მაგრამ...

— დავითჯან, პატარა სათხოვარი: პრია ლეტმწერალთა მთელ რიგს ნაკლებათ აცვია. აქ საჭიროა სამსამი მეტრი კაბარდინი. თქვენ რასაკვირველია, როგორც ლიტერატურის და საერთოდ ხელოვნების მოყვარული...!

კარები იღება. შემოდის ქალი.

— დავითჯან, სამი მეტრი კაბარდინი... — შემოდის ვაჟი:

— „დათიკო, სამი მეტრი...“

ისევე ქალი:

— დათა, სამი...!

კრებაზე, სხლომაზე, ქუჩაში, ყველას უხარია ჩემი ნახვა: — „დავით, სამი მეტრი კაბარდინი“... — „დათა, დათიკო, დათუნა“...!

კაბარდინმა უკუღმართად დააბოლავა ჩემი საქმე. თქვენმა დავითმა (იგივე დათა, დათიკო და სხვ.) ცუკსაგან მიიღო თქვენი მოწონებულბი საყვედური... იქიდან კი:

„მეჯინიბეგ, მივალ ზღვაში, გამომგვარე რაში“!...

პირდაპირ მექვი ღაბრიკაში და მქარატლით დაგმავთან ძირშივე ვსჭრი კაბარდინის ქეულს...

კაბარდინებით, ორდერებით სახეღვანთქლუნო, უკაბარდინოთ და სულდიდნო უფალო ჩემო:

კაბარდინის წარმოებამ, როგორც ასეთმა თქვენი ქირი წაიღო, ფონტი მოსხნილია და საერთოდ დავით რუხადე ყარაბაში გადაიკარგა.



ნიანგის საპირისპირო

სამბრუნია

ეს ვაჟბატონი
ხომ არის გმირი!
ჩამოუშვია
შეხედეთ ცხვირი!
მან მოიპარა
დასტობით მინა,
და გასაყიდათ



ბაზარს იფრინა!
მაგრამ გაქაჩეს
თან მისცხეს თავში,
„დასასვენებლად“
ჩასვეს გამსახლში.
არველაძეა
ჩვენი შალიკო,
კომკავშირისა
მიიღვანი იყო!

სონი

მილიციის უფროსი
პოლიციანტს შთარველობს,



„კამპანიებს ატარებს“
ოინის სმაში დამკერელობს!

ვეჯერება მუშკორი
ყველას დევნოს ნაგანიო,
ვაყვაცობას ქადულობს,
არ გეგონოთ ჯაბანაი!

ნიანგო, ახლა სხვას გეტყვი
გადავიღეთ ახლა სხვაზე,
ვინ არ იცნობს ჩვენს დაბაში
ვალერიან ქითამაძეს!
ვინ არ იცნობს წულუკიძეს
სახელია მისი ვანო,
რომლებმისთვის კარტი არის,
სათამაშო-სათაყვამო!
თამაშობენ გამუდმებით
აქეთ კურსები მოწყობილი,
ლექტორია ქითამაძე
კაცი უფრო გამოცდილი!



კურსებზე მას ლებულობენ
ვისაცა აქვს ბევრი ფული,
ვინც წაგებას არ იზანებს
არ დაწყდება ამით გული!

„წასრივის დამცველი“ (შიათურა)

„მილიციელი ასათიანი წაშირად
სარგეალობს მდგომარეობით და
რიგს გარეშე სხვადასხვა საქონლას
მიღების საშუალებას აძლევს თავის
ძმა-ბიჭებს“



— იქით მიდევით, თორემ დედას
გიტირებთ ყველას! საქონელი ჯერ
ჩემმა ძმა-ბიჭებმა უნდა მიიღონ!

ფაზვი

(დუშეთის რაიონი)

ნოქარი თაბურძიკე
უხეშია მეტად,
სიტყვის შებრუნებას



ვეროინ გაუბედავს!
გლებებს ეჩხუბება
და უკორობებს დედას,
როცა უნდა „ეპოს“
გააღებს, დაკეტავს!

„მონადირეები“ (ტაბაჩი)

„ცაგეროს ერთ-ერთი დაწვით
ლების უფროსის უღნტის განკარ-
გულებით თურმანიძემ მოჰკლა კოო
პერატების ღორი, რითაც 1000 მან.
აზარალა უკანასკნელს.“



— თურმანიძემ: ღორი გოჭები-
ნია ბატონო, ცოდევა, ვერ მოვკლავ!
— შლენდინი: ესროლე, მე რომ
გიზრძანებ უნდა შეასრულო ხოშ
ახე მაქვს!



მო ღ ი ნ ა ხ ე

ეპირვება!

„სუბტრანს“-ის გალის განყოფილების თანამშრომელი ლუკავა ავტომობილით სამგზავრო ბილეთებს ზედმეტ ფასებში ყიდის.

მ. ველ ი.

სჩანს უძაღლო
ქვეყნად უჩანს
ამ ლუკავას ვალია



და მას
გონზე მოსაყვანად
იჭირვება „ვალია“

თაფლი იყოს

საქართველო კოლმეურნეობის ზემო-სეხანეთის რაიკოლმეურნეობათა კავშირის გაუგზავნა 60 ცალი სკა, რომელიც სოფ. ჯვარამდი მიიტანეს და იქ კერძო მოსახლის ეზოში ღებდა.

ზემო-სეხანეთის კოლმეურნეობათა კავშირი და რაიკომსაკომი კი ყურსაც არ იბერტყავს მის ადგილზე მისატანად და გამოსაყენებლად.

სვანი.

— რატომ უნდა შევიწუხო
ნეტავ თავი „ტყუილაო“,



თაფლი იყოს და ფუტყარი
ხელად მოვა ბზუილაო.
აი თაფლს თუ გამოგზავნის

ჩვენთან ცენტრი — მესმის ესო
სკა კი რა ჯანდაბად მინდა
ხის მასალა აქაც ძვესო“.
ასე ბგობენ ზემო-სეხანეთის
თაფლის ფაქის მონატრულნი
ინსპექციავ, შენ უძღვენ შაი
არმადანი „მოთაფლული“.

პასუხს ველით

საკავშირო სუბტროპიკულ კულტურათა ინსტიტუტის საქმეთა მართველმა მიშა იაკოვლევიმა სტუდენტს ყვინიავილს ესროლა სამელნე და თან მისკენ მიიწია თავში სკამის დასარტყემად.

კავალერისტი.

ჩვენ ვეკითხებით
ინსტიტუტს
(კითხვას პასუხის თქმა უნდა:)



აკოვლევისა
— მკლავადეს
აქმის მართველად რა უნდა?


შეჯიბრება

ქ. ვალში ქუჩებში ტალახი მუხლებამდე და აღმასკომმა ამასთან დაკავშირებით დაადგინა მესხეთე ხუთწლირის გეგმაში გაითვალისწინოს ჩოჩიბის შეკეთება.

მიშელი.

ჩვენ ვეფიქრობთ, რომ გალის აღმასკომის დადგენილება ჩვენს თანამშრომელს მიშელს სწორად ვერ გაუგია. ჩვენის აზრით გალის აღმასკომი დაინტერესებული უნდა იყოს უფრო „მასლობელ პრაქტიკული იდეებით“, კერძოდ ამ შემთხვევაში მისი გადაწყვეტილება ჩვენთვის ნათელია: გალის აღმასკომს გადაუწყვეტია კონკურენცია გაუწიოს ოჩემჩირეს და თავისი ქალაქი სანაოსნო ქალაქად გამოაცხადოს. თუ ამ ზაფხულში ვალში ტალახი მუხლამდე (და ნაოსნობა უზრუნველყოფილია), ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ შიმოდგომაზე ოკეანეს დიდა გემებიც თავი-

სუფლად შეცურდებიან გალის ზურმუხტოვან „ქუჩებში“ და „მალ-



ლობის“ ნიშნად აღმასკომიც იგრძნობს ნიანგის „სურნელოვან“ ამბორს ბავეტურებში.

პაპის კვალზე

ოჩემჩირეში ავტოსადგომში მუშაობილ მოხსნეს აქტიური კომკავთირელი და მის ადგილზე საუგურის გამგედ დანიშნეს ყოფილი თავადი დავით ანჩაბაძე.

მ. ველისპირელი.

„საქგზატრანსის“
მმართველობა



ამას მითომ
აიტანს,
რომ პატივა სცემს
აღბად იგი
თავადების უაითანს!

საიდუმლო წერილი ჩემს ნიკოს

წყვეტილი ხალხია ეს ნიანგკორე-ბია, თუ რაღაც ჯანდაბაა, განსაკუთრებით თავიანთ არსებობის 10 წლის იუბილეს შემდეგ მთლად გადაირიონ პირდაპირ, თავს გვესხმიან და ღდინს გვაცლიან. აბა, რა უნდათ ჩემგან, საწყალი ბიჭი ვარ, ქუთაისის მუშაკომის ხორცის სავაჭროს გამგე, გვარად ალასანია, საწყალი ვარ და შესაბრალოსი, აბა 18.000 მანეთს რომ რამდენიმე დღეში კაცი შეგქამს და ახლა კაპიკი არ ექნება ჯიბეში, ასეთი კაცი არ უნდა შეიბრალოთ?

ისევ ჩემს პ/მ. ნოქარ მორჩაქს ვენაცვალე. კოოპერატიულ ფულების ჭამაშიაც დამკვრელი იყო, მაგრამ დახმარებითაც კარგად დამეხმარა.

ამბობენ, რომ თუ „ღმერთი გწყალობს, ეშმაკი რას დაგაკლებსო“ და მართლაც, როცა ქუთაისის მუშაკომის გამგეობის და პროკურატურის მუშაკები გვერდში მყავს, მუშგლებსინი რას დამაკლებს.

მართალია, ახლა კი არა მყავს გვერდში, მაგრამ როცა ფულები მქონდა, ყველა ჩემს გვერდში იყვნენ, გვერდში კი არა წინაც კი გადამეღობებოდნენ — ვანოჯან, ერთი ქორთა წიწილი გავხეთქოთ, მწვადს ხახვი დავყაროთ და წითელი ნუნუა მადლი შეეწიოს იმით, ვინც გაბედოს ხელი გახლოსო, — მეტყუოდენ ხოლმე.

— ვენაცვალე მაგათ ყანყრატოში, ბიჭებია რაღა, ქეიფობა უნოზე იციან და დახმარებაც. აბა ერთი მითხარი თუ ძმა ხარ, ქუთაისის კომერციული ფურნის გამგე სარდიონ იმედაძეს ხომ მაგის უნო არა აქვს. რაკი მუშაკომის ჩეკების გადასწორების ტენიკა აითვისა და ფულებს ხელი მოაგვლო, ჩუმად არის და არავის არ ეუბნება. მის სახლის კაცს მახა იმედაძესაც კი არ ანდობს ამ ნაბიჯს — მიხა კი თავისთვის ლაპარაკობს — სარდიონმა თუ ჩეკების გადაკეთება შეისწავლა, მე უფრო ნაღდ საქმეს მოგვიტე ხელი — ვაჭრებზე პურის მიყიდვა... ისინო დალშე.

ამით დავამთავრებდი, მაგრამ № 7 მაღაზიის გამგე მარგველაშვილმა რომ გაიგოს ეს ამბავი — ეწყინება, რატომ გამოიმტოვე და არ მახსენო. მარგველაშვილი თილისმაა რაღა, ვგ ოხერი. 700 მანეთს ისე უქნა ყლაპი, როგორც ვეშაპმა ლი-

გ. ტაბიძის იუბილემ

გ. ტაბიძის საიუბილეო საღამოზე სახ. ტაყაიშვილის ტიტულარული № X კავშირის მუშაკების სახელით გამოვიდა ვიღაც უცნობი სახელობის მკვლევარი ანალიზატორი, რომელმაც ისეთი მედიკური და მეტეფორები „პოზით“ დაიწყო „მილოცვა“, რომ საზოგადოებამ აღარ დააცალა „სიტყვის“ დამთავრება და გათავსებულ იქნა „ორატორი“ იძულებული გახდა სცენიდან გასულიყო.



„არ იყო ბუჭი ზამთარი, არ იყო დასტურლამალი“, სცენაზე გაჩნდა ჭაბუკი, ვით ინდაური მამალი. ნერონს „პოზა“ მიიღო, ბეჭები აათამაშა, (ცირკის „ატლეთად“ ჩათვლიდა, რომ დასწრებოდა „მამაშა“).

ხელი მოიჭლო და ცხვირი წამოყუდული კეხვიით „ცას“ მიაბჯინა და სიტყვის „ტურცნა“ დაიწყო მეხვიით. თვალეებით არწოვს პაძავდა თუმც სკვინჩას უფრო მოგავდა, და მისი ტანი სცენაზე კინტრაქსავით „გოგავდა“. უფრო დაქაჩა თვალეები, ხალხს გადახედა მწყრაღადა, და ვით მრისხანე ნერონი „აენთო“ ცეცხლის ალადა. არ შეუშინდა პარტერი მის „გადმოკარკლულ“ თვალებსა, არ მოერიდა ქანდარა მის პოზას „შეუბრალებსა“: „ფსუ-ო — გაისმა დარბაზში, ქანდარამ იყო ხმაური, პარტერმა ტაში... და უცებ შეიქნა აურ-ზაური... და „ორატორი“ ბაქია სცენიდან ისე გავარდა, რომ მისი ტერესი ნადენი მტვერი ღრუბლებში ავარდა. მეღუშა.

ფსიტა თევზს; თუ პასუხს არ მომთხოვდნენ, რატომ მეტი არ შეგქამეო — იკვებხს ეხლა და მსუნავ მე-ლიოსავით დაძვრება იქნებ კბილის ვასაკრავი ნახოს საღმე.

ასეა ძმაო, ვკამთ კოოპერატივის ფულებს, ყწლით ჩეკებზე პატარა თანხას, ვასწორებთ დიდს, ვქეფობთ და ვქეიფობთ, ვინ რას დავაკლებს, როცა გვერდს მიმშვენებს ზაგარი ნათლინმა. ყველამ საქმე-ყნით იცოდნენ, რომ სავაჭრო კოოპერატიული ანარატის თვითშემოწმება ჩვენზე ვერ გავრცელდება. ნაკო, ამ წერილის მოწერა იმიტომ დანებრდა, რომ „ნიანგუი“ შეიარე და გამიკვავე საქმე ჩემს შესახებ მიღებული წერილები არ დასტამბონ, მაგიერში ერთ ტიკ სვირას ღებონს ჩამოგიტანს.

შენი ვანო.

ეს წერილი ფოსტით შეცდომით მიიღო ივანიაშ.

ენუქას ანდერკი

აბაშა
სადაც იყავი, ენუქი ჩემო, ყველგან დათეე ჭირი და ხენი. შენ სიბოროტეს და პირის გემოს რომ მოვიგონებ, თვალი მაქვს ხველი. დრომ განვლო ჩუმად საბედისწერომ და სიბნელებში რჩებოდა შუქი. რაღა ვიტანჯო და ბევრი ვწერო, აბაშის მთავარ, შემო ენუქი! შენს წარსულს ოგალი, რომ გადავადვი (ო, რაშავია, მის მოგონება), — ვერ გაიხარებ ვერც დღეს, ვერც ხვალე, ცოდვები გაძღეს მძიმე ლოდებად. არგენ არ იცის ის თანხა ჯერაც, რამდენიც ენუქ შეგეკამია. დაბატმრება გქონდა ასჯერა — (აქ თქმა სიტყვისა ძლაზე მწარია) მაინც დადინარ, მაინც იცინი, ბესარიონის ხარ ძმა, სულთა. დარდი არა გაქვს და არც სირცხვილი და არც სიწითლე გადადეს სრულიად. ენუქ გვიღავავ, დამიგადე, ყური, ბოლოს წავივა საქმენი ავად. თ, ენუქ ოდეს მოგვხდეს პანაღური, თან გაიყოლე ეს ლექსი შავად. გაბნეული ბიჭი



ჩემი ავადმყოფობა

მოუხედავად იმისა, რომ ყოველ-
ნაირი ავადმყოფობა საშინლად შე-
ჯავრება, ერთ დღეს მაინც გავხდი
ავად. სიცხემ 41 მიღწია. ცოლმა
სასწრაფოდ გამოუძახა უბნის ექიმი,
რომელმაც ასეთი დიაგნოზი დაუყ-
ვა ჩემს ავადმყოფობას: „მუცლის
ტიფი, არც მეტი არცნაკლები“.

ტიფის ვაგონებზე ცოლმა კინა-
ღამ გაყრა მომთხოვა, მაგრამ რო-
გორღაც თავი შეიკავა.

ექიმის გამოწერილი წამალი ვერც
ერთ აფთიაქში ვერ ვიშოვეთ. მაგრამ
ნაცნობმა აფთიაქარმა „შინაურუ-
ლად“ მიმიღვნა (ამბობდენ და თურმე
მართალიც ყოფილა, რომ საინტე-
რესო წამლების 90 პროც, აფთიაქე-
ბის უმრავლესობას გადანახული
აქვს შინაურებისთვის).

წამალმა მაინც დამაინც ვერ გაი-
წია დიდი დახმარება, სიცხემ არ
ინება დაყლება.

მოვიწვიეთ კერძო ექიმი, რომელ-
მაც ჩემი ავადმყოფობა ტროპიკულ
მალარიად მონათლა (უბნის ექიმის
დიაგნოზი უკანონოდ იქნა ცნობი-
ლი); ნაცნობმა აფთიაქარმა თავის
ნაცნობ აფთიაქართან მივიწვრა
წერილი და, როგორც იქნა, ვიშო-
ვეთ ქანაქინა.

განვლო ხანმა და ჩემი ავადმყო-
ფობა არ აპირებდა ჩემგან წასვლას,
სიცხე კვლავ თანაშობდა. საქირო
გახდა მესამე ექიმის აზრის გაგებაც.
მან გამაინჯა თუ არა, ნელის ხმით
წარმოსთქვა: — „თუ ციმბირის ჭირი
არა, გრძობი, ან ანგინა უსათუოდ
არის“.

სამივე სენის საწინააღმდეგო წა-
მალი გამომიწერა. ხსენებული წამ-
ლების შიგნით ნაცნობმა აფთიაქა-
რმა მომიხერხა.

მაგრამ დახეთ ჩემს უბედურებას!
მოუხედავად იმისა, რომ ხსენებული
წამლები თავის დროზე იქნა ჩემს
მიერ მიღებული, სინს მაინც ვერა-
ფერი მოუხერხეთ და თანდათან
ვსუსტდებოდი.

ბოლოს რკინის გზის საავადმყო-
ფოდან მოვიწვიე ექიმი, რომელმაც
ერთის კალმის მოსმით გააუქმა ყვე-
ლა ექიმების დიაგნოზები და ჩემი
ავადმყოფობა „სიპნოი“ ტიფით
სცნო. საქირო გახდა საავადმყო-
ფოში ჩემი დაწოლა, მაგრამ ადგი-
ლი არ აღმოჩნდა და მკურნალობა
ისევ სახლში განვაგრძეთ.

ენახოთ! ერთბაშად დაიწია სიკ-
ხემ და ისე დამასუსტა, რომ ლაპა-
რაკიც აღარ შემიძლო. გადაწყვი-

დალალების სიმკვრა

ჩვენ პროფესიას ჩემმა მზემი
ვერ შეედრება რამეო,
დესიმონოვის ბაზარზე
ენავარდობთ დღე და ღამეო,
მილიცია ხელს არ გვიშლის,
ვდალალობთ. თავისუფლადო, ღ
ასე თუ დიდხანს გასტანა,
მთლად გადვიტყვევით ფულადო.
მუდი და შერ ნუ იმღერებ
თუ კი სამეორლად საქმე გვაქვს;
დრო არი ზორბად ჩავლით
მოუხმოდ ყველა ამხანაგს.
ანტონ ბიბილურს, შატილოვს
სანდრუა ყოშიტაშვილსა.
სტეპა, გრიჭურა, აბელას
(ცხვირი რომ უგავს არშინსა),
მყუდრო ალაგი მოგნახოთ,
ვერილოთ ვერაგ ნიანგკარს
დალალები და ქურდები,
ვერ გავეჭვევით იმას შორს;
ხომ იცით იმის ბასრ კბილებს
რომ ბევრი უწამებია.
ამბობენ თურმე ჩვენც გვიძებს,
დადის ასეთი ხმებია.

ტუხია.

ტუთ — პროფესორის მოწვევა. გა-
სინჯვის შემდეგ მან ერთი გულია-
ნად გადინხარხარა და წინა ექიმებს
დიაგნოზები არა კანონიერად სცნო,
ხოლო ჩემი ავადმყოფობა კი სურ-
ღოთ გამოაცხადა. მიხარა — ერთი
მაგარი იფლის მიღენა და მეტი
არაფერი ვინდაო.
მეც შეეასრულე მისი დარიგება.
ორი დღის შემდეგ ფეხზე დავდექი,
ხოლო ერთი კვირის შემდეგ ისევ
ლოგინად ჩავარდი.

— ახლა კი გამასიერებებს ეს ავად
მყოფობა საიჭიოსკენ-მეთქი, — გა-
ვიფიქრე გულში და ცოლს ვუთხა-
რი: — ეხ, რაც არის არის, გვკვები
და ეს არის. მოდი სამი ექიმი მო-
ვიწვიოთ და გავაკეთებინოთ „სოვე-
ტი“, ვნახოთ რას იტყვიან!

ასეც მოვიტყვიოთ. მოვიწვიეთ ექი-
მთა კრება, ანუ „კონსილიუმი“.

კინაღამ დახოცეს ერთმანეთი,
რადგან ყველა თავისას გაიძახოდა.
ბოლოს, როგორც იყო, მოხდა მათი
შეთანხმება და ჩემი ავადმყოფობა
სცნეს ნიკრისის ქარებად, ხოლო
ამისთვის კი საქიროდ სცნეს, საქი-
როდ გამგზავრება ასტროლაზე ტალა-
ხის განების მისაღებად.

ახლა საგონებელში ვარ ჩავარ-
დნილი: ვაი თუ წასვლა ტყვილა
მომიხდეს და ავადმყოფობა კი სულ
სხვა აღმომიჩნდეს!

ქ. საფინხილი.

გოდოლი

კალაქს (ბათუმი) ფუ-
რისის სკოლის მასწავლებელ უენიას
შესახებ იწერებთ:

ფურიოს თემს მასწავლებლად
მღველინა უენია,
გავგაკვირვა „ბეჯითობით“,
მიკვირს რად არ რცხვენია.
შეუკერავს ჩარლსტონი და
„ქლინკებზე დას“, „ჯეირნობა“,
სკოლას ის არ ეკარება,
დღე და ღამე სეირნობს.

თუ ასეა, ალბად უენია უკვე მო-
ქანცული იქნება ბევრი სეირნობით
და განათლების ინსპექცია ვალდებ-
ბულია მისცეს მას უვადო „შეგუ-
ლება“.

არაქს (ხაშური), როგორც თქვე-
ნი წერილიდან სჩანს, სტალინის
(ხაშურის) მუშათა კლუბს დიდი
„წარმატებები“ ქონა თავის მუშა-
ობაში. აი მისი „მიღწევები“ და მი-
სი მომავლის „პერსპექტივები“ (გან-
საკუთრებით ფიზკულტურის გან-
ვითარების დარგში):

კალათურის ბაქანი დაუბარეს
წრიულს,

იქ მოიყვანენ
ბოხტინულს
ფეხბურთის სტადიონი მოხსნეს,
შარშან ზაფხულში
(თუმცა არაფერი დათესილა,
ხნულში).

აქ ფიზკულტურელებს
არ აქვთ გასაქანი,
არ აქვთ სავარჯიშო
უბრალო ბაქანი

ბათოგალს (ხულო) შოფერების
შესახებ იწერებთ:


მგზავრებს უბილეთოდ იჯინენ
და შემდეგ ტყავს აძრობენ-ო.
თუ მგზავრებს ტყავს აძრობენ
აღვილობრივი მილიციის და საქ-
გზატრანსის თავი ხომ უვენებლად
დარჩა და რატომ ზომებს არ იღე-
ბენ სანამ მათი რიგი მოვილოდეს?

სიპოს (აქვე) თქვენი ლექსი ასე
იწყება:

აგარაკზე წასახველლად
დავაკირე თადარიგი
ზაფხულს მაინც არვინ მგზავნის
იანგარში მიწვეს რიგი.

მით უკეთესი! წასვლა აღარც კი
დაგპირდება, რადგან იანგარში თვი-
თონ მოვა აგარაკი. დადექი ვერის
ხიდზე და ისე გაიყინები რომ შენი
თავი მყინვარის მწვერვალზე გეგო-
ნება.





— ს.ვ. დემოკრატნი:—რა ვქნა, ჩემო კარგო! შიტღერის რომარ მეშინოდეს და შენაც წმინდა გერმანელი იყო, მაშინ ნახავდი რო-გორ შეუტევი ფაშისტებს და კუ-დიო ქვას ვასროლიანბდი!